

ტუჯეო® (300 ერთეული/მლ ინსულინ გლარგინი) პაციენტის და/ან პაციენტის მომვლელის ბარათი

SACAW.TJO.19.03.0061

პაციენტის და/ან პაციენტის მომვლელის ბარათი (შემდეგში - “ბარათი”) წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით.

თუ თქვენ დაგნიშნათ პრეპარატი ტუჯეო® სოლოსტარი®, თქვენმა მკურნალმა ექიმმა უნდა აგისნათ ტუჯეო® სოლოსტარის® კალმის მოხმარების წესი. ასევე, თქვენ უნდა შეისწავლოთ თანდართული სამედიცინო გამოყენების ინსტრუქცია. აღნიშნული ბარათი წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით.

- ✓ შეინახეთ ეს ბარათი. შეიძლება, კვლავ დაგჭირდეთ მისი გადაკითხვა. ბარათზე დააწერეთ თქვენი სახელი: _____
- ✓ მოცემული პრეპარატი გამოწერილია მხოლოდ თქვენთვის. არ გადასცეთ ის მესამე პირს. ეს შესაძლოა საზიანო აღმოჩნდეს მათთვის იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი დაავადების სიმპტომები თქვენსას ემთხვევა.

ტუჯეო® სოლოსტარი® წარმოადგენს წინასწარ შევსებულ საინექციო კალამს, რომელიც შეიცავს 300 ერთეულ ინსულინ გლარგინს 1 მლ-ში. ის გამოიყენება ერთხელ დღე-ღამეში.



დოზის ინდიკატორი ტუჯეო® სოლოსტარის® კალამზე უჩვენებს საინექციო ტუჯეოს ერთეულების რაოდენობას.

- ✓ არ გამოითვალეთ დოზა დამოუკიდებლად და დაიწყეთ იმ ერთეულებით დოზირება, რომელიც მითითებულია თქვენი მკურნალი ექიმის მიერ გამოწერილ რეცეპტში.

ინსულინ გლარგინი 300 ერთეული/მლ (ტუჯეო®) და ინსულინ გლარგინი 100 ერთეული/მლ (ლანტუსი®) არ არიან ბიოეკვივალენტური, ამიტომ ისინი არ არიან ურთიერთთანაცვლებადი დოზის კორექციის გარეშე. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული სამკურნალო პრეპარატები არ არიან ერთნაირები და არ შეიძლება მათი შეცვლა დოზის კორექციის გარეშე.

ერთი ინსულინით თერაპიიდან სხვა ინსულინით თერაპიაზე გადასვლა უნდა მოხდეს მხოლოდ თქვენი მკურნალი ექიმის დანიშნულებით. თქვენი მკურნალი ექიმის მიერ რეკომენდებული დოზა ყოველთვის უნდა იყოს დაცული.

თერაპიის შეცვლის დროს და შეცვლის შემდეგ პირველი კვირების განმავლობაში აუცილებელია სისხლში გლუკოზის დონის გულდასმით კონტროლი.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად კონსულტაციისათვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს.

ტუჯეო®-ს ინექციამდე

- ✓ გაეცანით შეფუთვაში წარმოდგენილ სამედიცინო გამოყენების ინსტრუქციას.
- * თუ არ იცავთ აღნიშნულ ინსტრუქციას, შეიძლება შეიყვანოთ ინსულინის ჭარბი ან არასაკმარისი დოზა.

თუ აღგნიშნებათ ნებისმიერი გვერდითი მოვლენა, აცნობეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს. აღნიშნული ითვალისწინებს ნებისმიერ გვერდით მოვლენას, მათ შორის ისეთებს, რომლებიც არ არის მითითებული სამედიცინო გამოყენების ინსტრუქციაში.

თქვენ ასევე შეგიძლიათ შეატყობინოთ გვერდითი მოვლენების შესახებ კომპანიას “სანოფი“
ტელეფონზე: +995 599 331 336, ან ელექტრონული ფოსტით: georgia.pharmacovigilance@sanofi.com